

შპს „ფარგო“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2022 წლის 31 დეკემბერს

შპს „ფარგო“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებით შენიშვნები	7-13

შპს „ფარგო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	182,370	105,517	58,802
არამატერიალური აქტივები		892		
სულ გრძელვადიანი აქტივები		183,262	105,517	58,802
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	90,829	7,786	104,084
სავაჭრო მოთხოვნები	8	230,168	98,024	476,861
გადახდილი ავანსები	8	258,098	376,164	11,236
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1,832,139	639,141	509,175
სხვა მიმდინარე აქტივები	8	14,480	20,347	24,254
სულ მიმდინარე აქტივები		2,425,714	1,141,462	1,125,610
სულ აქტივები		2,608,976	1,246,979	1,184,412
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,068,804	61,639	4,230
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		786,802	792,918	852,767
სულ საკუთარი კაპიტალი		1,855,606	854,557	856,997
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		7,993	2,100	3,117
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		241,440	390,322	215,400
სხვა ვალდებულებები		37,464	-	108,898
გრძელვადიანი ვალდებულებები		466,473	-	-
სულ ვალდებულებები		753,370	392,422	327,415
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,608,976	1,246,979	1,184,412

დირექტორი:



7-13 გვერდებზე არსებულ შენიშვნები წარმოადგენს მოცემულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ფარგო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	2,999,189	2,051,337
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(1,989,273)	(1,411,977)
საერთო მოგება		1,009,916	639,360
სხვა საოპერაციო შემოსავლები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,025,954)	(746,689)
საოპერაციო მოგება		(16,038)	(107,329)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)		9,922	47,480
სავალუტო ოპერაციებიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(6,116)	(59,849)
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება		(6,116)	(59,849)
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(6,116)	(59,849)

დირექტორი:

შპს „ფარგო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	2022	2021
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,418,819	2,716,242
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(3,896,630)	(2,446,669)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(656,181)	(445,138)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,133,992)	(175,565)
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(124,749)	(66,168)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების რელიზაციიდან	10,091	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(114,658)	(66,168)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა/-გასვლა კაპიტალის განაღდებაიდან	1,007,165	57,409
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	1,767,374	2,444,000
სესხის ძირის გადახდა	(1,416,413)	(2,269,078)
სესხის პროცენტის გადახდა	(26,433)	(86,896)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1,331,693	145,435
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	83,043	(96,298)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	7,786	104,084
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	90,829	7,786

დირექტორი:

შპს „ფარგო“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი - 31.12.2020წ.	4,230	852,767	856,997
კაპიტალის ზრდა/-შემცირება	57,409		57,409
2021 წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		(59,849)	(59,849)
ნაშთი - 31.12.2021 წ.	61,639	792,918	854,557
კაპიტალის ზრდა/-შემცირება	1,007,165		1,007,165
2022 წლის წმინდა მოგება/ (ზარალი)		(6,116)	(6,116)
ნაშთი - 31.12.2022 წ.	1,068,804	786,802	1,855,606

დირექტორი:



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფარგო“ დაფუძნდა 2016 წლის 22 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველია :

-გია გაბუნია, /საქართველო/ 100%;

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირია: ლაშა თოდუა - დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფეხსაცმლით საცალო ვაჭრობა სხვა ნახმარი საქონლით,საცალო ვაჭრობა ფეხსაცმლით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს.ცინცაძის ქ. N 12 ბლოკი V ბ. 7-24

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის სტანდარტების) მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 15 აგვისტოს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **სასამართლო დავები.** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი.

4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერები და ელექტრონული მოწყობილობები	8-10
ოფისის სტუმრებილობა	5 - 8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 - 8
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა	5-7

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „ფარგო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერები და ელექტრონული მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ტერიტორიის კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2021	-	21,421	19,795	26,536	67,752
შემოსვლა	7,821	22,749	19,348	16,251	66,169
გასვლა	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	7,821	44,169	39,143	42,787	133,921
შემოსვლა	14,112	34,526	17,600	58,511	124,749
გასვლა	-	-	(19,348)	-	(19,348)
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	21,933	78,695	37,395	101,298	239,322
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021	-	(3,923)	(1,980)	(3,047)	(8,950)
ცვეთა 2021	(442)	(7,174)	(3,914)	(7,924)	(19,454)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	(442)	(11,097)	(5,894)	(10,970)	(28,403)
ცვეთა 2022	(1,527)	(12,046)	(3,623)	(13,653)	(30,849)
ცვეთის ჩამოწერა			2,301		2,301
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	(1,969)	(23,143)	(7,216)	(24,623)	(56,951)
საბალანსო ღირებულება					
საბალანსო ღირებულება 01.01.2021	-	17,497	17,816	23,489	58,802
საბალანსო ღირებულება 31.12.2021	7,379	33,073	33,249	31,817	105,518
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	19,964	55,553	30,178	76,676	182,371

7. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
ნაღდი ფული სალაროში	22 904	575	17 441
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	67 801	7 196	3 100
ფული საბანკო ანგარიშზე (ევრო)			83 543
ექვ. ლარში	124	15	
სულ	90 829	7 786	104 084

შპს „ფარგო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

8. სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
სავაჭრო მოთხოვნები	230 168	98 024	47 6861
გადახდილი ავანსები			11 236
მომწოდებლებზე	258 098	376 164	
ავანსად გადახდილი თანხები			24 254
ბიუჯეტში	14 480	20 347	
სულ	502 746	494 535	512 351

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის მიერ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 2 999 189 ლარი, 2021 წელს - 2 051 337 ლარი

შემოსავალი	2022	2021
საქონლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი საბითუმო ვაჭრობიდან	1 083 993	999 722
საქონლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან	1 915 196	1 051 615
რეალიზებული პროდუქციის	(1 989 273)	(1 411 977)
თვითღირებულება		
სულ	1 009 916	639 360

10. ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2022	2021
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	375	2,050
შრომის ანაზღაურება	596,772	409,960
დეფექტური საქონლის განადგურების ხარჯები	8,614	5,065
საექვო ვალების ხარჯი	-	82,549
საპენსიო	10,023	6,896
საიჯარო ქირა	230,386	123,225
კომუნალური ხარჯები	4,938	4,700
საწვავის ხარჯი და მანქანის მოვლის ხარჯები	12,455	7,416
საღარი აპარატის მომსახურება	1,029	646
სამეურნეო საქონელი და მომსახურება	20,599	6,780

შპს „ფარგო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

რეკლამის ხარჯები	14,625	1,669
წარმომადგენლობითი ხარჯები	130	-
კომუნიკაციის ხარჯები	2,865	1,731
დაზღვევა	27,820	15,255
რემონტი	152	358
ცვეთა და ამორტიზაცია	30,849	19,454
სხვა საგადასახადო ხარჯი	10,909	822
ბანკის მომსახურების საკომისიო	16,802	13,373
პოს ტერმინალის საკომისიო	8,078	-
სხვა საერთო ხარჯი	2,100	1,510
საპროცენტო ხარჯები ბანკის კრედიტი	26,433	43,230
	1,025,954	746,689

11. პოტენციური ვალდებულებები

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპერაციებს, თუ ამ ოპერაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

12. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დირექტორზე გაცემული ანაზღაურება

	2022	2021
შრომის ანაზღაურება მთლიანად	108 674	104 592